

# მწყემსი

მწყემსიან კთილმან სული  
თვისი ღმრის ცხოვართვის  
იონ. 10—11.

№ 13—14

1883—1909 წ.

30 ივლისი

## ზ ი ნ ა ა რ ს ი.

**სალიტერატურო განყოფილება:** იმერეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო, დამსწრესი.—ლიდი მწყემსი (მოთხოვა წმიდა იოანე ოქროპირის დროიდან) თარგმანი მღვ. იოანე ლუკიანოვისა.— ბრძოლა თავისუფლებისათვის სპარსეთში.—ახალი ამბები და შენიშვნები.

**სწავლა და მმსენიება ძრისტიანობაში სარწმუნოებასა და კეთილ ზნეობაზე:** სახარება მათესი თავი პირველი.—განცხადება.—რედაქციისაგან.

### იხარეთის ეპარქიის სამღვდლოების დეპუტატების უკანასკნელი კრების გამო. \*)

დასასრულა

სანთლის მმართველი და მასი კონტრაქტორი მღ. ა. ფოფხაძე. „მე დეპუტატით მმ. დეპუტატო, რომ წარმოვიდგენ საბუთებს იმის დასამტკიცებლად, რომ დეკ. დ. ღამბაშიძემ განსვენებულ ეპისკოპოსს ბესარიონს შიასესხა 1040 მ. და ეს ფულები ღღეს დაკარგულად ითვლება. აი ესლა წარმოვიდგენო ჩემი სიტყვების დამამტკიცებელ საბუთებსაც.“


მ. ფოფხაძე ამოიღებს რაღაცა ნაგლეჯ ქახალდს და როგორც გამარჯვებული ათვლიერებს დეპუტატებს აქეთ იქით, ჩახველებს ერთ ორს და კითხულობს: “1906 წ. მექვემოც ამის ხელის მომწერიან ალავერდის ეპისკოპოსს ბესარიონმა, დროებით იმერეთის ეპარქიის მმართველმა, ვისესხე იმერეთის ეპარქიის სანთლის საწყობისაგან 340 მ. რისაც ვალდებული ვარ მცირე დროში დაუბრუნო საწყობს.—ეს ფულები ღღესაც არ აქვს დაბრუნებული საწყობს.“

დეკ. დ. ღამბაშიძე. მე რა შუაში ვარ, რომ საწყობში მჯდომისაგან ფულები ესესხებოთ განსვენებულ ეპისკოპოსს? სად გახლავთ, მ. ფოფხაძე, მანდ დაწერილი, რომ დეკ. დ. ღამბაშიძეს მიესესხებოთ სანთლის ფულები?

მღვ. ა. ფოფხაძე. თქვენ იყავით მმართველი სანთლის ქარხნის და საწყობის და თქვენ ხართ ვალდებული გარდინადოთ თუ რამე დაიკარგა.

დეკ. დ. ღამბაშიძე. თქვენ განგებ ცრუობთ, თორემ კარგათ ხართ დარწმუნებული, რომ მე მანდ არაფერი არა ვარ დამნაშავე. დამნაშავე გახლავთ თქვენი მონათესავე ფ. ფხაკაძე და საწყობში მჯდომი ნათლული ეპისკოპოსისა. ჩემ დროს სამღვდლოებისაგან აღრჩეული კომიტეტი მმართვედა სანთლის წარმოების საქმეს. კომიტეტს შეადგენდა მ. ფილიფე ფხაკაძე, მლ. ს. ლეკვიევილი და მე თავსმჯდომარედ დანიშნული სამღვდლოებისაგან. ხაზინადრად დანიშნული იყო მღ. ფილიპე ფხაკაძე, საქმის მოწარმოებლად—მღ. ლეკვიევილი. მღ. ფ. ფხაკაძე ვალდებული იყო ყოველ ღღე მისულიყო საწყობში და განაყიდი სანთლის ფულები ჩამოერთმია საწყობში მჯდომისათვის და იქვე შეეტანა ხაზინის კასოში. ხაზინიდან კი სახამცველა კომიტეტის წევრები არაფერიც არაფერიც უღებდნენ გამოტანას რომელიმე წევრს. ასე გერავინ

\*) იხლე „მწყემსი“ № 11—12 1909 წ.





ვერ გამოიტანდა. რისთვის დატოვა ეს ფულები მიუღებელი და კასაში შეუტანელად მღ. ფ. ფხაკაძემ, რომელიც სასარგებლო სამსახურისთვის შემდეგ დეკანოზობით იყო დაჯილდოვებული ბესარიონისაგან?

ბერძენი არ გაუფლავია შემდეგ მღ. ფ. ფხაკაძემ განმიცხადა მე, რომ ეპისკოპოსი ფულების სესხებას მთხოვა არა თუ სანთლისას, არამედ ჩემსაცო, წინაღმდეგ შემთხვევაში შემუქრებოა და ხაზინადრობა არ შემიძლიაო, ითხოვა განთავსუფლება ამ მოვალეობისაგან. მღ. ს. ლეკვი-შვილი თვალბნის დასწრელებისა გამო ითხოვდა საქმის მწარმოებლობისაგან განთავისუფლებას. ამისთვის ქალაქზე თუქცა იწერებოდენ წვერებად ეს ორი პირი, თორემ საქმით არც ერთი ახას აკეთებდა და მთელი საქმის წარმოება მე დამაწყდა თავზე. ვნების კვირაში ბევრი სანთელი იყიდება და ორჯერ უნდა ჩავსულიყავი ქუთაისში და საწყობში მჯდომისაგან მიმეღო ანგარიში. ჩემი თანამშრომელლები კი არხეინად დაბრძანდებოდნენ. ღვედლოების კრებამ ეს დაკარგული ფულები უნდა მოსთხოვოს იმ დროში მყოფ ხაზინადრად მღ. ფ. ფხაკაძეს. ამ ფულების გასესხების შემდეგ მე ფულები თვითონ შემქმნა ხაზინაში და ამა წარმოადგინოს ფოფხაძემ დამამტკიცებელი საბუთები, რომ ოდესმე სანთლის ფულები გამესესხებოდა.

ამოიღო მეორე ქალადი მ. ა. ფოფხაძემ და კითხულობდა: „ეკსარხოსის ბრძანებით მე უნდა გავემგზავრო ჩემი კრებულით სკანეთში სარევიზოთ და სამწყსოს დასამწყსვლად. ამისათვის თანხმად ეკსარხოსის მოწერილობისა წინადაუდებ სანთლის ქარხნის წარმოების კომიტეტის თავმჯდომარეს გარდასცეც ჩემს ჩინოვნიკს იოსებ ბუძემს თოთხმეტით თუბანი პრაქონის ფული, რომელი პრაქონის ფულები მიღებისთანავე ეკსარხოსიდან ქრისტიანობის აღმადგნებელი კომიტეტის თანხიდან დაბრუნებულ იქნება უკანვე.“

დკ. დ. დამ—ე. დიახ, მართალია, ენახე მოწერილობა ეკსარხოსისა და ცხადათ სწინდა, რომ ეს ფულები უთუოდ უნდა დაბრუნებულიყო იმ პირებისაგან, რომელნიც მიიღებდენ ვზის ფულს. თუქცა თუთხმეტით თუბანი უნდა მიეღო იოსებ ბუძემს, მაგრამ მე ვიანგარიშე და საქმარისი იყო ასი მანეთიც და სსმელ საქმელი ეპისკოპოსს თავისი კრებულითურთ არასოდეს არ უყიდიდა სამწყსოში და არც მე მიმიცია მათთვის ფული. რომ პატრო-

ნი ყავდეს სანთლის საწყობს ეს ფულებიც შეუძლიათ გარდახდევინონ მათ ვისგანაც რიგია. ეხლა ბრძანოს კრებამ რა საბუთია ფოფხაძისაგან მოყვანილი მიწერ მოწერა ჩემ გასამტყუნებლად? ფოფხაძეს ეს ასი მანეთი ისე გაცემულად მიანია, როგორც მისი მართველობის დროს გამოქმნათ საწყობისაგან ფულები ვინც კი მოისურვებდა!..“

დებუტატებში გაისმა ხმა: ტყუვილად დროს გვაკარგვინებს ფოფხაძე, არაფერი საბუთი მას არა აქვს. ვიცით რისგანაც არის გააოწმებული მისი ლაპარაკი.

მღ. ა. ფოფხაძე. არ შეიძლება, აი აგერ წაეკითხებ შესაძნეე საბუთს, მოსმინეთ!.. თავმჯდომარე აჩუბებს დებუტატებს. ჩახველებს ფოფხაძე ერთ ორს და იწყებს: „მაშაო დეკანოზო დავით! გათხოვე ამ ბარათის მომტანის ჩემის ჩინოვნიკის იოსებ ბუძის ხელით გამომიგზავნათ ექვსასი მანეთი სანთლის ფულებიდან რომელსაც მალე დაგბრუნებთ. ალავერდის ეპისკოპოსი ბესარიონი.“ ეს ფულები შიილო ბესარიონმა და ღღესეც არ დაუბრუნებია...

დ. დ. დამაშაძე, დიახ, მართალია მომწერა ესეთი წერილი განსვენებულმა, მაგრამ მე შეუთვალე, რომ სანთლის ფულიდან 600 მ. კი არა 6 კახეიცო არ შეიძლება გასესხათ მეოქო. მაგ წერილის მისაღებად განსვენებულმა ათჯერ გამომიგზავნა კაცო და მთხოვა, რომ უკან დამებრუნებია მისთვის მე წერილი. ავიღე მეც და დაუბრუნე. მიკვირს, ვის შეემლო განსვენებულის ჯიბეში ხელის ფათური და ან როგორ შეიძინა ფოფხაძემ ეს წერილი? ამა გამოარკვევს გემდეგი საყურადღებო გარემოება.

შემდეგ ჩემგან უარის თქმისა ფულების სესხებაზე მე საქმისა გამო ვიყავი განსვენებულ ეპისკოპოსთან. საყვედური გამომიცხადა, რომ მას ფულები არ ვსესხე სანთლის საწყობიდან. „თქვენ, მიბანა მათა მეუფებამ, დაძლუბეთ მე და ღიდი ზარალი მომიცით. თქვენ შემაცდინეთ მე და ჩამომაოთეთი სანთლის წარმოების საქმე და სამღველოებისათვის გადაამცემინეთ. მე, როგორც მტკიცებენ ჩემთან დაახლოებულნი პირნი დეკანოზები და სხვანი ამ ფულების მინიჭებისათვის შემეძლო ოცი ათასი მანეთი მიმელო სამღველოებისაგან და შენ ტყუილად გადაამცემინე და ოცი ათასი კი არა თქვენ 600 მანეთიც არ მსესხეთ. დიახ ღიდი ზარალი მომაყენეთ.“ მე მოვასხ-

ნე მათ მეუფებას, რომ პიროვნული ანგარიშით გატყუებენ ჩემი მტრები, რომ თქვენ ვითომ შეგეძლოთ, 20000 მ. მიღება სანლის მართვის გამგეობის ვადაცემისათვის. თუ კანონებს მოისმენთ სანთლის არც ოცი ათასის და არც ორი შაურის მიღება არ შეგეძლოთ. სანთლის ფულებს სხვა დანიშნულება აქვს და კერძო კაცს ვინც უნდა იყოს იგი არა აქვს უფლება კაპეიკი მოიხმაროს თავის სასარგებლოდ.

გამოთხოვების დროს გამომიცხადა განსვენებული: ყველაფერი იყოს ისე როგორც გინდათ, მაგრამ ვნახოთ რა შედეგი მოყვება ჩემი თხოვნის აღსრულებლობას...

მღ. ა. ფოფხაძე. მართალი არ არის რაც სთქვა დეკ. ლამაზიძემ, ეს 600 მ. მიღებული აქვს ებისკოპოსს.

დეკ. დ. ღამაშიძე. იმაზე საბავგლო არაფერია როცა კაცს სინდისი დაეშობა და სიცრუეს მიეჩვენება. ფოფხაძე იხახის ეს 600 მ. მიცემული აქვსო. წიგნები ხელში აქვს შესავალ გასავლის და გვაჩვენოს რომელი ადგილას აჯლია ეს 600 მ. შესავალ გასავალს? როც უკანონოდ არჩეულმა კომიტეტმა ჩიხარა ქაჩხანა საწყობით ხომ არ დაკლებია ერთი კაპეიკი და რა საბუთი აქვს ფოფხაძეს იმის, რომ ვითომ 600 მნეთი აკლდა?

მღ. ა. ფოფხაძე. მართალია წიგნების ანგარიშს არ აქვდა, მაგრამ ზედ მეტყველებოდა სანთლის ფული და იქილამ მისცემდა.

დეკ. დ. ღამაშიძე. მოდი და ელაპარაკე ამისთანა კაცს! ოუ არსად არ აკლია ეს ფულები რაღად ყმდნობთ და რაღად აწუხებთ კრებას. მე მისტყველია თქვენ მაგიერად და როგორ ბედავ აქ გაჩერებას კიდევ, არ მესმის...

შეიქნა დეპუტატებში ხმაურობა, ფოფხაძე გვატყუებს და დროს გვაკარგინებს! არა ვითარი საბუთი მას არ ჰქონებია დატყუილად იჩემბდა საბუთები მაქვსო. ფოფხაძე ჩაჩუქდა და კრება სხვა კითხვების გარეგნად შეუღობა. წარმოადგინებ ამისთანა ცილის წამება კრებამ უყურადღებოდ დასტოვა. რატომ? მიტომ, რომ კრებას ჯეროვანი თავსჯდომარე არ ყავდა...

განსვენებული ე. ბესარიონი დიდი ფულების მხარჯველი იყო; მისი ნაცნობები და თაყვანის მცემლები განსვენებას არ აძლევდნენ და ნიადგ ფულებს სთხოვდნენ. იგი ვერ დააყაფოვილა ვერც თერთმე გიორგამ, ვერც ალავერდმა, ვერც ჯამბაგირმა და ვერც სხვა და სხვა გვარმა შემოსავალია.

ისესხა ფულები მოწამეთის მონასტრიდან, წაიღო, მოხელეების მოხსენებით, სემინარიის თანხადინ. ათას ხუთასი მანეთი, არავინ უარის თქმას არ უბედავდა გარდა დეკ. დ. ლამაზიძისა. ეს უარი ცხადათ მტკიცდება დღეს.

სპარსეთის შაჰს იმდენი არ უღარდია კონსტიტუციის მიცემაზე რამდენიც ბესარიონმა იღარდა სანთლის საქმის გამგეობის მიცემა სამღვდლოებაზე. წინდაწინ ბევრი ეთათბირა გულ-დაწყვეტილ ქუთაისის სამღვდლოების პირებს. როცა ამ სამღვდლოებამ დაინიშნა, და უთხრა რომ თუ დეკ. ლამაზიძე იქნება დათხოვნილი შემდეგ შეუძლია აღადგინოს მან თავისი დაკარგული უფლება, მოიწოდა მათმა მეუფებამ საგანგებო კრება უღაროვ დროს აპრილის თვეში... შეკრებილმა დეპუტატებმა აირჩიეს ვანგებ თავსჯდომარედ მღ. ი. ტ—ე. ფოფხაძემ ლეკვეიშვილმა ფხაკაძემ და მათმა კამპანამ დანიშნეს კომისია დეკ. დ. ლამაზიძის მომტრეთაგან, რომელთაც წიგნების განუხილველად და საქმის გაუგებლად შეხანხლეს ვითომ რვეიზის სიგელი და მოახსენეს კრებას თვითნებურად და ყალბი მოხსენება. შეეითხებ კომიტეტის წევრებს. მღ. ფ. ფხაკაძემ და სპ. ლეკვეიშვილმა მოახსენეს კრებას; დეკ. ლამაზიძე არ გვიშვებს ჩენი მოვალეობის აღსასრულებლად და სანთლის საქმე ილუპებო. ბანი მისცეს მათ წინადადებას მუქედლიკებმა, ქეიშვილებმა და მათმა კამპანამ. კომისიის წევრები დაწინაურდნენ ქუჩებში და ამბობდნენ, რომ ორი ათასი მანეთი აკლია სანთლის ფულებსო, აქაურის კათედრის უმადლესმა სამღვდლოებამაც ხმა მისცა. ამბროსი ფოფხაძე შესდგა სკამზე და დაიყვირა: კენტის ყრით დაუითხოვოთ დ. დ. ლამაზიძეო. ტანიძე, რომელიც ერთად ეწეოდა სანთლის წარმოების საქმის წახანდენად უღალს შეჩერდა. ამ დროს გადმობტა მამა ა. ფოფხაძე, მოუტრანა კენტის საყურელი კოლოფი და დაუხალა თავჯდომარეს სტოლზე, მისცა ლობიოს მარცვლები კენტების მაგიერ. ყარეს კენტი და რამდენიმე ხმის უმეტესობით დაადგინეს: დათხოვნილი იქნეს დეკ. დ. ლამაზიძე და მის ნაცვლად დანიშნეს დეკ. ი. ქეიშვილი სანთლის მთავარ გამგეთ. შეითხინეს ქურნალი, დაუხატეს რუსულად ეურნაღზე დაასწერი რეზოლუციო, ბესარიონს Утвержден და გაათავეს სიქმე. დეკ. დ. ლამაზიძისაგან არც პასუხი, არც თავის გამართლება და არაფერი...

დეკ. დ. ღამაშიძემ მოითხოვა კომისიის დანიშვნა შესამოწმებლად სანთლი წარმოების საქმისა და შესავალ გასავალის წიგნებისა. აღმოჩნდა, რომ



დეკ. დამბაშიძეს არა თუ არ დაუხარჯავს სანთლის ფული, არამედ მისადები ჯამაგირი, რომელიც დანიშნული ჰქონდა სამღვდლოებისაგან ისიც არ აუღია ორი თვის. მაგრამ რა გამოვიდა? ვინა განსვენებული ეპისკოპოსის შესარიონის დრო იყო დრო რამეს სამსახურისა და საქმის ვაკეთებია? სრულბით არა, ეს იყო დრო დაქვეყნისა და დამხობისა თურამე წინეთ იყო აშენებული და გაკეთებული.

1898 წლიდან წავიდა უკუღმა სანთლის წარმოების საქმე და იმის გამობრუნების იმედი აღარც არავის უნდა ჰქონდეს, რადგან დღევანდელს სამღვდლოებს აღარც ია გამოკრახობა, აღარც შეგნება და აღარც ძალა აქვს რაც ჰქონდათ ნახევარი საუკუნის წინეთ.

ჩვენ გვგონია, რომ წინ მივდივართ, მაგრამ თუ კაცი კარგად ჩააკვირდება ჩვენ ცხოვრებას, მიიხილავს უკან და შეადარებს ჩვენს ვხლანდელს სამღვდლოებას ძველისას დიდ განსხვავებას შენიშნავს. სადღა არის ჩვენს სამღვდლოებაში ის სიმტკიცე ხასიათისა, დინჯობა, სინიდისი და, სახარების სიტყვისა მებრ, მარილი სარწმუნოებისა?

ჩვენ ვსწერთ ყველა ამას არა მიტომ, რომ საქმეს დავებაროთ, არა, ვსწერთ მიტომ, რომ ეს სამწუხარო ფაქტი აღენიშნოთ მომავალი თაობისთვის, იქნება ოდესმე ეღიაროს საქართველოს ჯგეროვანად აღზრდილი სამღვდლოება და დამე შეიტყონ მათ თუ როგორი იყო მეცხრამეტე საუკუნის სამღვდლოება, დაწვლილებით ცნობები ყველას შეუძლია მოიხსოს 1898 და—99 წლის მწყემსი<sup>4</sup> ის ჟურნალებში.

დამსწრე.

X

დიდი მწყემსი.

(მოთხრობა წმიდა იოანე თქობაძის ღრობად) თარგმანი (დასასრული \*)

როდესაც კონსტანტინოპოლში მივიდა ანტოქიიდან კესარი, მდგომარეობა ფლაბიანესი მაშინვე შეიცვალა. კესარიმ გააკეთა სწორედ ის, რასაც ფლაბიანე თხოულობდა თეოდოსის კარის კაცები.

დგან. იმან მოალობო იმპერატორის გული. იმან დაწვრილებით აუწერა თეოდოსის რასაჯგულები დაატყდა თავს ანტიოქიას, რა მოელოდა იმს შემდეგში, და რა ელდა მოახდინა ყველა ამან ქალაქზე.

—ანტიოქელებმა საკმარი სასჯელი მიიღეს თავის დანაშაულისთვის. ხელმწიფევე,—მოახსენა კესარიმ;—მეშინიან, რომ ნამეტანის სასჯელით და სისასტიკით მეტად არ აწყუნინოთ იმით.

შემდეგ იმან გულითადის მღვდლებით უფამო მოხუც განდევილთა შუამდგომლობაზე და ბოლოს წაუყითხა მას იმათი წერილობითი თხოვნა.

—ხელმწიფევე!—სწერდნენ განდევილები,— ჩვენ მოველით შენგან ქეშმარიტ მეფურ საქმეს. დამაშევეთა დასჯა, სამაგიერო გადახთეინება მოთგან დანაშაულობისთვის, რა თქმა უნდა, ადელიო და მოსახერხებელია. ეს ყველასაც შეუძლიან. არც ის არის დიდი ღვაწლი, სხარულისა და საზოგადო მხარულობის დღეებში მოჰყინო მხარეს წყალობა. ამაში მაინც და მაინც არაფერია საკვირველი და საუცხოვო. ეს ჩვეულებრივ საქმეა. მაგრამ, თუ შენ დაითმენ ადღეს და ამისთანა უღიადეს შეურაცხებას შენს მრისხანებას დააცხრობ,—აი ეს იქნება დიდი საქმე ქეშმარიტის მეფურის გულისა, მეფურისა არა მხოლოდ სახელით, არამედ საქმიით.

მაშ ნულარ განაგრძობ, ხელმწიფევე, შენს რისხვას ანტიოქელებზე. მიეცე იმათ შეება<sup>5</sup> ნუ გაუშვებ შენი რისხვით შემთხვევას, რომ შენი ხალხის გული მოიგო შენ, გონიერო მმართველო, გამოკლილებით იცი, რომ თუთა უძლიერესი ხელმწიფეობა-უფლება არის დამყარებული არაქვეშევრდობა შიშზე მფესი წინ, არამედ მათის სიყვარულით ხელმწიფესთან. მოგვეცი, იმპერატორო, ჩვენ შენი სიყვარული; გამოუტყადე იგი ხალხს, და ხალხი მოგიგებს შენ მითივე ას წილ,

თეოდოსიმ რა მოისმინა გულსმოდგინე მოთხრობა კესარისა განდევილებზე და მათი წერილი—მოლობა.

—ქეშმარიტად, ისინი ღვთის მახარობლები ყოფილან. უფალი ამ ღირსეულ კაცთა მიერ აყენებს ჩემ უღირს ბოროტებით შურის-მაგებელ ხელს, მივიღებ ჩვენებას და დავაცხრობ რისხვას. მეტად აღარ იქნება სასჯელები. მოიწვიე, კესარი, ჩემთან დღესვე მწუხარე მწყემსი ანტოქიისა ფლაბიანე, იგი დიდი ხანია ელის ჩემ-მიერ მიღებას. შენ, კესარი, და ელლებიზმა მიიღეთ ჩემი დიდი

\*) იხ. „მწყემსი“ № 11—12 1908 წ.



მალღობა. თქვენ გამოსწდი თ არა ბრმა აღმასრულებლებად ჩემის ნებისა, როგორც უნდა იყვნის, არამედ ჩემ ნამდვილ შემწეებად: იყავით ჩემ გონებათ და ჩემ სინდისათ, არ შეიშინეთ შეკითხვა ჩემი, სამართლიანი საქმე მოგანდგეთ თქვენ, თუ არა. რა კარგი იქნებოდა, რომ ჩემ სამეფო ტახტს ჰყავდეს ბევრი ამისთანა პატოსანი მოსამსახურენი როგორ საქიორანი არიან ისინი, და რა ძნელი საპოვნელი არიან!

გახარებული კესარი გაეშურა ფლაბიანესთან. —მეუფეო, შენი სიტყვა ასრულდა. უფალმა მოაღობა იმპერატორის გული. კესარი გიწმენს შენ თავისთან დღესვე.

მოხუცმა მთრთოლარე ხელით პირჯვარი გადაიწერა:

—აჲ განმიტყევე მონა შენი, მეუფეო! შენვედრა იმპერატორისა მოხუც ეპისკოპოსთან გამოვიდა დიდად ღმობიერი. მშვიდმა მოხუცმა დაიწყო ქეთინი იმპერატორის წინ, როგორც წინათვე ანტიოქიაში უთხრა მას იოანემ.

—გვაპატიე, ხელმწიფე; გვაპატიე!.. ეხვეწებოდა ის ქეთინით და ცრემლებით თავის სუსტის მოხუცის ხმით თითქოს მთელი საშინელება ამბობებისა ანტიოქიაში ყოფილიყვეს მისი საკუთარი დანაშაული.

თეოდოსიმ დანიხანა.რა მიხრწნილი მოხუცი-ეპისკოპოსი ასეთ შეწუხებაში, თითონაც მზათ იყო, რომ ეტირნა. ის უკვე აღარ ემოქებოდა ანტიოქიას, არ სჯიდა მას, ის მხოლოდ-ღა შესწიოდა ეპისკოპოსს:

—რათ შეურაცხეს იმათ ხსენება ჩემის ძვირფასი მიცვალეზღებისა? მე თუ ვაწყენინე რამე, დაე ჩემთვის გადაეხანდა, მაგრამ მიცვალეზღებს რას ეწარდენდნ, როცა იმათ მითთვის არა დაუშავებიათ-რა.

ფლაბიანე სდუმდა და მხოლოდ უფრო მწარედ სტიროდა. როცა ცოტათი დამშვიდდა, იმან სიტყვა:

—მაპატიე, დილა ხელმწიფე, ჩემი გული აღსაყვა მწუხარებით, და ჩემი აზრები დაბნეულია. მე დღაგებთ ვერ ვილაპარაკებ. მე ხომ ღამაში სიტყვები არ მოკიტანე შენ, არამედ მწარე ცრემლები ხალხისა და შავი უბედურობა-ნუ ვარე მიიქცევი პირსა შენსა, ხელმწიფე. მხოლოდ მართო შენ ძალ-გისს ვაშრო ეს ცრემლები და მათი სიმწარე სიტკობა გადააქციო.

ამას წინათაც, ერთს წარსულ პასქის დღესასწაულებში, შენ გავზავნე ყველგან ბრძანება: გაენთავისუფლებით საპყრობილიდან ტუსაღები და

ეპატებინით მითთვის დანაშაული. და თითქოს ეს არ კმაროდა შენის კატომოყვარების დასამტკიცებლად, შენ დასწერე კიდევ:

„ხო, ნეტავი შემძლებოდა მე მოკლულთა, სიკვდილით დასჯილთა, მოაწოდება და აღდგინება და სიცოცხლის დაბრუნება!“

მოიგონე, ხელმწიფე, ეხლა ეს სიტყვები, აი ეხლარის დრო მოაწოდებისა და აღდგინებისა, დაბრუნება სიცოცხლისა ბევრი ათასეული ხალხისა. დაუბრუნე მთელ ქალაქს მშვიდობიანი ცხოვრება. განაცხოველე იგი. შენ მეტი მოიმოქმედე, მინამ დიდმა ანტიოქიამ, რომელმაც დაარსა ანტიოქია და მისცა მას თავს სახელი. შენ ეხლა გადარქვი სახელი და უწოდე თეოდოსია შენია კატომოყვარებით.

ანტიოქმა მისცა დასაწყისი ქალაქს და წარვიდა; შენ-კი აღაყენებ ანტიოქიას მაშინ, როდესაც იგი, დიდი და დიდებული, დევსა შემდგომ ხანგრძლივის კეთილ დღეობისა.

იმას რომ დასცემოდენ ბარბაროსები, ან სხვა მტრები, —შენ მსწრაფდ ვცდებოდი მის განთავისუფლებას. ეს დიდებული საქმე იქნებოდა, მაგრამ არ იქნებოდა ისე გასაკვირველი, როგორც ეხლა, როცა შენ აპატეგ მას: გაანთავისუფლებ მას შენის საკუთარის რისხვისაგან.

შენ ამბობ, რომ შეურაცხყოფილი ხარ, რომ მეტი ცული მოგერგო, მინამ რომელსამე წინანდელ მეფეს, მაგრამ შენ თუ ვინდა, კატომოყვარეო ხელმწიფე —ეს შეურაცხება განგაშენებს შენ გვირგვინით, რომელიც იქნება უკეთესი და უბრწყინვალესი შენს მეფურ დიადებაზე, შენი შუბლის დამამშვენებელი დიადემა მოქსოვილია წვრილი, ხელიწურთად გაბაზართული ოქროს ფურცლებით. ხოლო ის გვირგვინი, რომელსაც ეხლა მე წინადადივებ შენ, იქნება მოქარგული შენის კატომოყვარებით. და ყველას იმდენად არ გაუყვარდება ძვირფასი თვლები შენის დიადემისა, რამდენათაც შენი ძლევა რისხვაზე.

შეუბრუსე შენი ქანდაკებანი, მაგრამ შენ შეგიძლია უფრო ბრწყინვალეები აღწერო. თუ შენ აპატეგებ დანაშაულს შეურაცხყოფელთ, და არავითარ სასჯელს არ მოყენებ მათ, —ისინი აღღმენებენ შენ არა სპილენძის, არა ოქროს და არა ქვის ქანდაკების, არამედ ისეთს, რომელიც ძვირფასი იქნება ყოველივე ნათიერებაზე, ისინი გარემოცვამენ შენ სახელს კატომოყვარების და მოწყალების სინათლით.



თვითუფლები იმათგანი თავის გულში დაკვიდრავს შენ, და შენ არამარტო ანტიოქიაში, არა მარტო შენს იმპერიაში, არამედ მთელ კაცობრიობაში გვექნება იმდენი ჯანდაცვანი, რამდენ კაცსაც ეკოდინება შენი სახელი და შენი სულ-გრძელება. არა მარტო ჩვენ, არამედ ჩვენი შთამომავლობაც და იმათი შთამომავლობაც, ყველა გაიგებს ამას, გაუეჭვირდებათ და შეგიყვარებენ შენ, როგორც თავის კეთილის-მყოფელს.

თეოდოსის ცრემლები მოერია ფლაბიანეს სიტყვებით, და როდესაც მოხუცმა-გზისკობოზმა გაათავა ლაზარაკი, მეფე მივიდა იმასთან, მოეხვია და დიდხანს ჰკოცნიდა. მერე მოეშვა, მაგრამ ფლაბიანეს ხელები-კი არ გაუშვა სიყვარულით უცქერდა მის მოხმენქილს, ცრემლებით მორწყულს პირისხასეს და უთხრა:

— მწყემსო კეთილო, შენ დიდი წყალობა მიყავ მე, მინამ ჩემგან მიიღებდი წყალობას ანტიოქიისთვის. შენი სიტყვებითა მე ესე ლომობიერი გამხადე, იმდენი სარგე კეთილი გრძნობა აღმიბარა!.. ამნაირათ არავინ არ შელამარაკება მე სასახლეში. რისხვაში, შურისძიებაში, დასჯაში—ჩემი თანაშემწეები ყველანი არიან; ხოლო დამშვიდებაზე, შეურაცხებათა დავიწყებაზე, პატიებაზე და მოწყალეობაზე დამნაშავეთა მიმართ, — მახედ-კი არავინ არის არა აქეთ ხლები, არა აქეთ ვინა, არა აქეთ გული არც ფიქრი და არც ნღობა.

ეს, მეუფეო წმინდაო, მიმივა ხან და ხან ეს ოქროს-ქსოვილი დიადება, რომელზედაც შენ ამობდი! ერთი კაცი ხან ვერც-კი ერევა. შენ, შამოა, დღეს დიდი შეღავათი მომეცა, ნუგეში, და დარჩებია... ვერ ვპოვებ სიტყვებს, რომ მადლობა გადაგიხადო. შენი ლაზარაკის შემდეგ მე შემოძლიან ერთი ფოქვა ანტიოქელებზე: „რა არის განსაკუთრებით და საკვირველი, თუ ჩვენ დაეცხრობთ რისხვას ჩვენს შურეაცხმყოფლებზე, ხალხზე? ვინჩვენ ხომ ადამიანები ვართ, როდესაც ქრისტე მაქსოვარი, ძე ღვთისა, რომელიც მოვიდა დედა-მისწზე და ჩვენთვის გახდა მონად, ჯვარს ეცვა მისგან გაბედნიერებულებისგანვე, სთხოვდა მამას თავის მტრებზე: „შეუნდევ მათ, მამაო; არ იციან, რას იქმნან!“

მოხუც ეპისკოპოსს ხელ-მეორედ ცრემლები მოერია. ესლა-კი სიხარულისგან, ის ჰმადლობდა:

— ხელმწიფე! მე მოვდიოდი შენთან რომ შეგხვეწოდი მოწყალეობაზე. შენ უფრო მომეტებული მოგვეცა ჩვენ. შენ მიეცი ხალხის უგურებებს პატიება და სრული დავიწყება. ამდენზე არა სწევ-

ბოდა ჩვენი იმედო, მაგრამ მე გეტყვი შენ: აი სახელდობრ ეს არის ღირსი შენის მალაღის წოდებისა. და მე მოხარული ვარ რამდენათ ანტიოქიისათვის, იმდენათ შენთვისაც. შენთვის კიდევ უფრო მომეტებულად, რადგანაც მოწყალეების გაცემა უფრო მომეტებული ბედნიერებაა, მინამ მისი მიღება.

უფალმა გადღევრძელოს, ხელმწიფევე, მრავალ ქამირ და შენი კაცთ-მოყვარება განამტკიცოს შენი ხალხის საკეთილდღეოდ.

იმპერატორიდან გამოსვლის უმაღლესე ფლაბიანემ საჩქაროთ გაგზავნა ანტიოქიაში ცხენოსანი კაცი მახარობლად სრულის პატიებისა.

ანტიოქია გაცოცხლდა, მოედნები მორთეს ყვავილებით. სახლების წინ ხალიჩებს შლიდნენ ქუჩების კუნჭულებში საღამოობით ანთებდნენ დიდ სანთლებს. ყველას უხაროდა, თითოც ქალაქი ხელ-მეორედ დაიხადაო.

იოანემ არ დასტოვა უყურადღებოდ ეს სიხარული ხალხის განწყობილება. ის ეუბნებოდა იმათ:

— ვგრთევე მოიქცეთ თქვენ ყოველ სხვა დროსაც, მხოლოდ ამნაირათ: თქვენ მოირთეთ არა ყვავილების ვვირგინებით, არამედ კეთილი საქმეებით, ანთეთ თქვენს გულში სანთელი ღვთის სიამართლისა და გაიხარეთ სულიერი ს-ხარულით არა მით მხოლოდ, რომ უფალმა უბედურობა აღგაციდინათ, არამედ ჰმადლობდით, რომ უბედურება თქვენი ყოფა-ქცევის გასასწორებლად ის რაც მოხდა ჩვენში, იმას შეუძლიან მოგვეტანოს დიდი სარგებლობა არა მარტო ჩვენ, თუ ყოველთვის გვესომება ის, არამედ ჩვენს შთამომავლობასაც. წარმოიდგინოს ყოველმა თქვენგანმა, როგორი საქმეა ეს: ჩვენი შთამომავლობა გაიგებს, რომ როდესაც ასეთი დიდი ქალაქი უნდა მისცემოდა სსახელს და შურისძიებას, როდესაც ყველა შიშით კანკალეებდა: მხედართ-მთავარნიც, ქალაქის მართველებიც, მსაჯრულებიც და ვერავის გაბედნა მისი ამოღება უბედურთა გამოსაქონებლად, — მაშინ წარსდგა ხელმწიფის წანაშე ერთი ღვთიერი შუამავლი, შემოსილი მღვდელობითა და ერთი ნახვით, უბრალო საუბარით დაიყოლია თვითმყობელი. და ხელმწიფემ, საღმრთო სჯულის პატივისცემით, მისცა ერთ მოხუცს ის, რასაც არ აძლევდა არავის თავის ქვემეგრდობს.

ამის მოგონებაზე, არამც თუ უბედურობი-  
დან მორჩენის დროს, არამედ თვით უბედურობა-  
შიაც, ყოველთვის უნდა ვმადლობდეთ ღმერთსა,  
გვახსოვდეს-რა ამ მომხდარიდგან მაინც, რომ უფა-  
ლი ყოველივეს ჩვენ საკეთილოდ განგებს, თვით  
ჩვენგან ჩადენილ ბოროტებასაც-კი, ჩვენის გამოც-  
ვის გზით, გარდაჰქმნის ჩვენდა სამოძღვროდ.

რამდენიმე დღის შემდეგ, პასეჰის დღესასწა-  
ულებისთვის დაბრუნდა სახლში ფლობიანც. შო-  
რეულმა და ძნელმა მოგზაურობამ ჩაიარა მშვიდო-  
ბიანად მისი ჯანმრთელობისთვის. გახარებული  
მისის შუამდგომლობის სასურველი დაბოლოებით,  
ის გრძობდა თავის თავს უფრო ჭარმაგად.

გაზაფხული იყო. განმაცოცხლებელი ჰაერი  
აღსაყვ იყო ახლად გაფურჩქნული ყვავილების კე-  
თილ-სუნქვლოვანებით, და ღმობიერი მოხუცი  
მთელ გზაზე სიხარულით აღფრთოვანებული ლა-  
პარაკობდა:

—გაზაფხულია! ახალი ცხოვრებაა! გაღვიძე-  
ბაა! ყოველივე ხელმეორედ ცოცხლდება. ძველი  
დაბერებული, რომელმაც თავის საქმე გააკეთა,  
მოსჯამა თავისი წუთი სოფელი, მიდის, კვდება,  
და იმის მაგივრად შემდეგ ზამთრის დასვენებისა  
ბუნებას ხელახლად მოაქვს ახალი ცხოვრება: ახ-  
ლად გამოდებული კვირტებიც ხეზე, ახალი ყვ-  
ვილებიც, ახალი ვალობაც ახალი ფრინველებისა  
და, თითქოს, თვით ახალი ჰაერიც. კარგია! დიდ-  
ბა შემოქმედს, საუცხოოდ განგებდეს ცხოვრ-  
ებისას!.. ეხლა დროა ჩემთვისაც მოსვენება! ქვეყ-  
ნიური ყოველივე შევასრულე. ეხლა ახალ გზაზე?  
ღმერთთან! იქაა ახალი ცხოვრება! აღმოცენება!  
ახალი გაზაფხული!

და მოხუცი, ურემში წამოწოლილი, გატაცე-  
ბით უქქერდა გაზაფხულის ტრედის-ფრათ მიწვენი-  
ლილს ცას.

ანტიოქელებმარა გაიგეს თავის მწყემსის  
მოსვლის დღე, ბზობა დღეს დილა, ადრიაან,  
მთლად ქალაქი, სიხარულით აღფრთოვანებული,  
გამოვიდა მის შესახვედრად, და მთელი ქალაქის  
გზაზე ეპისკოპოსის სახლამდის ხალხის სიხარულის  
ხმა შორს ისმოდა, ხელში ეჭირათ ბზის ტოტები,  
გზას ჰყენდნენ ყვავილებით. დედები ხელს უშვებ-  
დნენ:

- ჩვენო ქომაგო!
- მფარველო ანგელოზ!

—ღვთიურო შუამდგომელო!  
მოხუცი ყველას სიხარულით თავს უკრავდა  
და იმეორებდა:

—ამას მე ნუ მომაწერთ, ღვთის წყალობაა.  
მე ცოტათიც არ მიშველია საქმისათვის. თითონ  
მეფემ, როგორც იმას ღმერთმა ჩააგონა, ჯერ კი-  
დევე ჩემ სიტყვებამდის, დასტოვა თავის რისხვა,  
და არ კვლავ ის ლაპარაკობდა ამბობებაზე, იგო-  
ნებდა აუფლავურ მომხდარს გულ-გრილად, თით-  
ქოს ის თითონ არ ყოფილიყოს შეურაცხყოფილი,  
არამედ სხვა ვინმე. მე აქ არაფერ შუაში არა ვარ,  
ყველაფერს განაგებს ღვთის სახიერი ნება. მიეცით  
ქება ღმერთს შვილნო ჩემნა! უგალობდით მას  
„ოსანნა“-ს!

და მრავალათასეულმა ხალხმა დაიკრკინა;  
—ოსანნა! ოსანნა მალათა შინა! კურთხეულ  
არს მომაველი სახელითა უფულისათა! ოსანნა  
მალათა შინა!

მღვდელა იასანე ჯუჟიანსვი.

## ბრძოლა თავისყოველებისათვის სპარსეთში.

3 ივლისს მოხდა ნაციონალური კრება. მო-  
წინაწილეობას იღებდნენ მუშტილები, ნოტაბლები  
და ნაციონალისტთა ჯარის მეთაურები. დაესწრო  
აგრეთვე დიდძალი ხალხი, რომელმაც თავი მოიყარა  
მათდებოდა მეჯლისის წინა ნაციონალურმა  
კრებამ შამად გამოაცხადა მეგვიდრე პრინცი, რე-  
გენტად დანიშნა აზიდ-ულ-მულკი, რომელიც ეს-  
ლანდელ სამეფო გვარის კაჯარების მეთაურად ით-  
ვლება. სეგებდარი დანიშნა სამხედრო მინისტრად  
და თეირანის გენერალ-გუბერნატორად.

ნაშუადღევს ლიახოვი, მეთმარ ბახტიართა თან-  
ხლებით, მეჯლისში წავიდა. ხალხი სიხარულით  
ეგებებოდა და იძახდა—„ვაშა ლიახოვისაო“. ნა-  
ციონალისტების ჯარის მეთაურებმა აცნობეს  
ლიახოვს, რომ იგი დროებით ყაზახთა ბრძედის  
უფროსად დარჩება იმ პირობით კი, რომ მან საე-  
სებით უნდა შესარულდოს სამხედრო მინისტრის



ბრძანებანი. ეს ამბავი აცნობეს აგრეთვე ინგლისისა და რუსის საელჩოებს.

შაჰი რუსის საელჩოში გადაბარგებას შეუდგა 3 ივლისს, აღოს 8 საათიდან, როდესაც წენგენდენ მისი ამაღლა მოვიდა. ნახევარი საათის შემდეგ შაჰი ცხენით შევიდა საელჩოს ბაღში. თან ახლდნენ შვილები. ბაღში შაჰს დაჰხედნენ რუსეთის ელჩის მოადგილე, საელჩოს წევრნი და კონუოი, რომელმაც სახედრო სალაში მისცა, შაჰი რუსულად მიეგება კონუოსი. ერთი ყაზახი რუსეთის მხრივ და ერთი სიბაი ინგლისის მხრივ ყარაულად დგანან შაჰის დროებით სადგომის წინ. საელჩოზე აფრიალებულია რუსისა და ინგლისის ბაირაღები. მივიდა ლაშე შაჰის ბარგს და მისს კერძო ქონებას ეზიდებოდნენ სასახლიდან საელჩოში. შაჰთან ერთად ბესტუმი ჩაჯდა ხუთასამდე კაცი—მისი მახლობელი, მეომარი და მოსამსახურენი. ქალაქში მშვიდობიანობაა. სერდარ ასადიმ და სეპენდარმა, ყაზახთა ბრიგადის დახმარებით, მხნე ზომები მიიღეს წესიერების აღსადგენად და უტხოვლთა დაწესებულებების, ქვეშევრდომთა და რუსის ბანკის დასაცველად ტარცვა-გეგუჯისაგან.

4 ივლისს სეპენდარმა და სერდარ ასადიმ რუსეთის და ინგლისის ელჩებს შემდეგი დეპეშა გაუგზავნეს: „დღეს ბახირისტანში შეიკრება ეროვნული საბჭო. ეროვნულმა საბჭომ ეხლანდელი შაჰი მამოყდალი ტახტიდან გადააყენა. ამიტომ საქიროა, რომ საბჭოს დეპუტაცია შაჰთან მივიდეს და ქველადფერი ეს აცნობოს, რადგან შაჰი ამ ქაზად გუქცეულია და რუსეთის საელჩოს შეაფარა თავი, ამიტომ მისმა უდიდებულესობამ დეპუტაციის უნდა დაინიშნოს საათი და მიიღოს სეპუტაცია“.

4 ივლისს დღითი შაჰი ტახტიდან გადადგა რუსეთის ელჩმა შაჰს სეპენდარის და სერდარ ასადის დეპეშის შინაარსი გადასცა. შაჰმა უარი განაცხადა ეროვნულ საბჭოს დეპუტაციის მიღებაზე. მეო, განაცხადა შაჰმა, ჩემ სასახლეს თავი მივანებებ, რუსეთის საელჩოს შეეფარე თავი და ამით თვითონ გადავდექი შაჰობიდანაო. ამასთან შაჰმა მცირე ყოყმანის შემდეგ განაცხადა, თანახმა ვარ ტახტზე ჩემი მემკვიდრე სულთან-ახმედ-მირზა ავიდესო.

5 ივლისი, კერმან-შაჰში არეულობაა. მცხოვრებნი ორ მოწინააღმდეგე ბანაკად გაიყვნენ. ეს მეორე დღეა, რაც ღუქნები დაკეტილია. ქალაქში

გახურებული სროლაა. ტყვიები რუსეთის საკონსულოსაც ჰხედება. აშენებენ ბარიკადებს. ვუბერნატორს ძალა არ შესწევს, რომ წეს-რიგი აღადგინოს.

ხამადანიდან 5 ივლისის თარიღით იუწყებიან: ქალაქი რევოლიუციონერების ხელშია. რევოლიუციონერები ჰკრფენ გადასახადს და ფოსტა-ტელეგრაფის შემოსავალს ითვისებენ. რევოლიუციონერთა რიცხვი დღით-დღე იზრდება. ჯერ-ჯერობით ქალაქში წეს-რიგი არ დარღვეულაო.

5 ივლისს შაჰის მცირე წლოვანი მემკვიდრე სულთან-ახმედ-მირზა რუსეთის საელჩოდან სალტანეტ-აბადის სასახლეში გადაიყვანეს. აქ მას უმაღლეს საბჭოს დეპუტაციამ შაჰობა მიულოცა.

5 ივლისს კახეთში მშვიდობიანად მოვიდა რუსის ყაზახთა ლაინსკი პოლკი. ქალაქის შესვლიდან ჯარს დახედნენ რუსეთის კონსული, რუსეთის ქვეშევრდომი, ეპრები, ადგილობრივ მცხოვრებთა დეპუტაცია და სხვები. ჯარს სალამი მისცეს სპარსეთის კარგუზარმა და ადგილობრივ პოლიციისტიერმა. ამავე ჯარს მიუტანეს პურ-მარილი და შემდეგ სადღი გაუმარჯეს. ჯარი დაბინავდა სეპენდარის ბაღში, რომელმაც უწინ დაწინებამისი ნება დართო. გადაიხადეს პარაკლისი. ადგილობრივ მცხოვრებლებზე ჯარმა კარგი შობეჭმედილება მოახდინა. ქალაქში მშვიდობიანობაა.

ახალა შახი და ახალა მთავრობა.

სპარსეთის რევოლიუცია სრულის გამარჯვებით დაგვირგვინდა. რევოლიუციონერებმა მედვარ ბრძოლის შემდეგ დაამარცხეს შაჰის ჯარი, იარაღი დააყრვეინეს მას და აიღეს შახის სატახტო ქალაქი თეირანი და მისი სახაფხულო რეზიდენცია სალთან-აბადი.

გამარჯვების შემდეგ 3 ივლისს რევოლიუციონერების მეთაურებმა ხელად შეკრიბეს უმაღლესი ეროვნული კრება. კრებამ ტახტიდან ჩამოაგდო მემედ-ალი-შახი და მის ნაცვლად შახად გამოაცხადა მისი თორმეტი წლის მემკვიდრე ახმედ-მირზა, რომელიც მოვალეა ძველის მეგლისის შეინაზაში ფიცი მიიღოს კონსტიტუციის ერთგულეებაზე.

ახალ შაჰის მცირე წლოვინობის გამო, ეროვნულმა კრებამ რეგენტად, ანუ სახელმწიფოს მმართველად დანიშნა ყაჯართა გვარის (შაჰის გვარი) უზუტყის აზილ-ელ-მულკი და ამასთანავე დანიშ-



ნა სეპტემბერი, სახმედრო მინისტრად მხოლოდ შინაგან საქმეთა მინისტრად სარდარ ასადი.

სპარსელ ყაზახებს ყველას ამნისტია გამოუცხადეს და მათი ბრიგადა დატოვეს აგრეთვე მისი უფროსი ცნობილი პოლკოვნიკი ლიხახოვი და ყველა რუსის აფიცერი მხოლოდ იმ პირობითა კია, რომ ლიხახოვი თავის აფიცრებით დემორჩილოს სახმედრო მინისტრის სეპტემბერს.

დროებით მთავრობის მაგივრად ამ დღეებში უნდა შესდგეს. ახალი სამინისტრო, რომელიც პასუხის მებეჭელი იქნება მეჯლისის წინაშე.

გახარებული თვირანელები ქუჭებში მანიფესტაციებს ახდენენ და ქება დიდებას ასხამენ სეპტემბერს და სარდარ-ასადს.

მოღების მფრთხილები შინარეთებიდან უცხადებენ ხალხს, რომ ძველი შაჰი ტახტიდან ჩამოაგდეს და ახალი შაჰი ავიდა ტახტზეო...

ახალი შაჰი

ახალი შაჰი სულთან-ახმედ რიზა მემკვიდრეა მამკვიდ-ალი შაჰისა; იგი ამ ვამად 12 წლისაა; რუსული ღაბარაკი და წერა იცის; მისი მასწავლებლად და გამზრდელად იყო რუსის აფიცერი შტაბს-კაპიტანი სმირნოვი. ახმედ რიზა ნიჭიერი, ცოცხალი ბავშვია და როგორც ამბობენ, ძრიელ უყვარს ხალხსა.

რუსეთი და მსჯელობა-აღი შაჰი.

რუსეთის მთავრობა ცდილობს, სპარსეთის მთავრობას ყოველ წლიური პენსია დაანიშნინოს ტახტიდან ჩამოგდებულ მიმედ-ალი-შაჰისთვის. ამ პენსიის რიგზე მიცემა უზრუნველყოფილ იქნება რუსეთისა და ინგლისისაგან. თუ შაჰი სპარსეთს მიატოვებს, რუსეთის მთავრობა ამ შემთხვევაში საქირო საშვალეებას მისცემს და აგრეთვე ძლიერს კანვისს აახლებს.

დავია ბოიკოტი რუსეთის წინააღმდეგ

ბოიკოტი რუსის საქონლის წინააღმდეგ მეტისმეტად გაძლიერდა და მთელს ჩრდილოეთ სპარსეთს მოედვა.

„ტიფლ. ლ.“-ს ატყობინებენ ჯუღფიდან, რომ ბოიკოტმა მეტად საშიში ხასიათი მიიღო.

